ბათუმის
ნავიგაციის
უნივერსიტეტი



სატრანსპორტო ლოგისტიკის

სამაგისტრო პროგრამა

2025

BNU

ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტის შესახებ

ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტი (ბნუ) პირველი კერძო საზღვაო სასწავლებელია საქართველოში, რომელიც 1999 წელს შორეული ნაოსნობის კაპიტანმა პარმენ ხვედელიძემ დააარსა და დღემდე ემსახურება ქართული საზღვაო განათლების ხარისხის ამაღლებასა და საერთაშორისო საზღვაო ასპარეზზე ჩვენი ქვეყნისათვის საკუთარი და უნიკალური ადგილის დამკვიდრების საქმეს.

ბნუ წარმოადგენს კონკურენტუნარიან, მაღალტექნოლოგიურ, საერთაშორისო აღიარების მქონე, ცნობად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხიანი, საერთაშორისო და ეროვნულ დასაქმების ბაზარზე ორიენტირებული განათლების მიღებასა და დარგში ახალი ცოდნის შექმნას.

ამჟამად, ბნუ-ს ძირითად საგანმანათლებლო ერთეულებს წარმოადგენს საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტი, ბიზნესისა და ლოგისტიკის ფაკულტეტი, პროფესიული განათლების დეპარტამენტი და ასევე საერთაშორისო საზღვაო მომზადების ცენტრი, რომელიც სტუდენტების, პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების და უკვე მოქმედი მეზღვაურების მომზადება-გადამზადებას ემსახურება.

ჩვენი უპირატესობაა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურა და ხარისხიანი საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მაღალკვალიფიციური აკადემიური და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პერსონალი.

ჩვენი პრიორიტეტია სტუდენტზე ორიენტირებული გარემო, სადაც თითოეული სტუდენტი ახდენს თავისი პოტენციალის რეალიზებას.

რექტორის მიმართვა

პარმენ ხვედელიძე
რექტორი და დამფუძნებელი

პროფესიის არჩევა რთული საქმეა. ძნელია, წინასწარ განსაზღვრო რა არის შენი ცხოვრების მიზანი, სად და როგორ შეძლებ თვითრეალიზაციას, მისწრაფებების და ვალდებულებების თანხვედრას, არის თუ არა შენი ადგილი ამა თუ იმ პროფესიაში. კითხვა ბევრია და წინასწარ მათზე პასუხი არ არსებობს, თუმცა, გადაწყვეტილების მიღებისას ერთში ზუსტად უნდა იყო დარწმუნებული - უნდა გიყვარდეს ის საქმე, რომელსაც ირჩევ.

მე შემიძლია გულწრფელად გითხრათ, რატომ ავირჩიე მეზღვაურობა და რატომ არის ის ჩემი ცხოვრების უცვლელი პროფესიული სიყვარულის საგანი - მე თავისუფლება მინდოდა. ვერ ვეგუებოდი აკრძალვასა და საზღვრებს, სიმტკიცისა და სიმამაცის გამოსავლენად მჭირდებოდა სარბიელი. საკუთარი თავის გამოსაცდელად მინდოდა

მეტი, ვიდრე ის გარემო იძლეოდა, რომელშიც ჩემი თაობა დაიბადა. მე მინდოდა მენახა სამყარო ისეთი, როგორიც არის, მემოგზაურა, გავცნობოდი ქვეყნებს და კულტურებს, გადამესერა ზღვები და ოკეანეები. მეზღვაურობა ჩემთვის იყო თავისუფლების ბილეთი.

ახლა აღარ არის რკინის ფარდა და დაკეტილი საზღვრები, მაგრამ დამერწმუნეთ, მეზღვაურის პროფესია არის შინაგანი თავისუფლების, წინააღმდეგობების გადალახვის, საკუთარ თავზე გამარჯვების გზა და ვინც ამ პროფესიას ირჩევს, არის კიდევაც ადამიანი-საკუთარი ბედის მჭედელი. მეზღვაური მსოფლიო მოქალაქეა. მას დიდი პასუხისმგებლობა აქვს საკუთარი ქვეყნის და, არ გადავაჭარბებ, რომ ვთქვა, მსოფლიოს წინაშე, რადგან რომელი ქვეყნის დროშის ქვეშ მცურავი ხომალდის ბორტზეც ახვალ, ავტომატურად იმ ქვეყნის წარმომადგენელი ხარ, რომელ პორტშიც შეხვალ, იმ ქვეყნის სტუმარი ხდები და ვალდებული ხარ, დაიცვა დროშის ღირსება, გიყვარდეს ადამიანი. მეზღვაურობა მუდმივი გამოცდაა სიმტკიცესა და ღირსებაში, ურთიერთობებსა და დიპლომატიაში. ეს საქმე უნდა გიყვარდეთ!

და, რატომ უნდა აირჩიოთ ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტი, თუ მეზღვაურობა გადაწყვიტეთ? იმიტომ, რომ ის ჩემი პროფესიისადმი სიყვარულის და ერთგულების გამო დავაარსე. ეს საქმე იმიტომ წამოვიწყე, რომ ღრმად ვარ დარწმუნებული, ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობას ბევრი მაღალკვალიფიციური საზღვაო საქმის პროფესიონალი სჭირდება. თქვენ სჭირდებით საკუთარი ოჯახების კეთილდღეობას. თქვენ მონაწილეობთ ქვეყნის ეკონომიკურად გაძლიერებაში და ეს საზოგადო საქმეა.

ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტი საერთაშორისო სტანდარტების და სერტიფიცირებული პროგრამების მქონე სასწავლო ბაზაა, რომელსაც აქვს უნივერსალური პირობები თქვენი მაღალი პროფესიული ჩვევების და უნარების ჩამოსაყალიბებლად. თქვენი პედაგოგები უმაღლესი კლასის სპეციალისტები, შორეული ნაოსნობის მოქმედი კაპიტნები და მექანიკოსები არიან. ჩვენი გუნდი შედგება ადამიანებისგან, რომელთაც უყვართ საკუთარი პროფესია. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საზღვაო სფეროს, სატრანსპორტო ლოგისტიკის და ტვირთების მართვის განვითარება საქართველოს მომავლისთვისაა აუცილებელი და რომ თქვენ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მომავალი ხართ!

პატივისცემით,

რექტორი, პროფესორი და შორეული ნაოსნობის კაპიტანი

პარმენ ხვედელიძე

საგანმანათლებლო პროგრამის აღწერა

საქართველო მდებარეობს ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე, სადაც სტრატეგიული დანიშნულების ტვირთების ტრანსპორტირება ხორციელდება. შესაბამისად, საქართველო წარმოადგენს „ევროპა-კავკასია-ცენტრალური აზიის ინტერმოდალური სატრანსპორტო ლოგისტიკური სისტემის'', ანუ უმნიშვნელოვანესი ლოგისტიკური დერეფნის საკვანძო პუნქტს (HUB). მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის ფონზე და საქართველოს მდებარეობიდან გამომდინარე ქვეყნის ეკონომიკის განვითარება პირდაპირ კავშირშია სატრანსპორტო სექტორების გამართულ და ეფექტიან მუშაობაზე. გამართული სატრანსპორტო-ლოგისტიკური სისტემა განაპირობებს მაღალი ხარისხის სერვისს, იაფ და ეფექტურ მიწოდების ქსელს, რაც უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს ქვეყნის შიგნით და გარეთ კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის.

სახელმწიფო პოლიტიკის მთავარი მიზანი ტრანსპორტირების და ლოგისტიკის სფეროებში საქართველოს რეგიონის ლიდერად გადაქცევაა. გაიზრდება როგორც მოძრაობის ინტენსივობა და ტვირთბრუნვა, ასევე, გადამუშავებული ტვირთის მოცულობა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ზრდას. ასევე, მნიშვნელოვანია საქართველოს ინტეგრაცია საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემებში და ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის განვითარება.

ასეთი რეალობისა და პერსპექტივის გათვალისწინებით აუცილებელია სატრანსპორტო ლოგისტიკის სპეციალისტების მომზადება, რათა ეფექტურად გადაწყდეს საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვების მართვის დარგში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების არსებობის საკითხი. ამდენად, ძალზე აქტუალურია სატრანსპორტო ლოგისტიკის სფეროში მაღალკვალიფიციური, თანამედროვე თეორიული ცოდნის მქონე და პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული კადრების მომზადება, რომლებიც შეძლებენ სატრანსპორტო-საექსპედიტორო და ლოგისტიკური ფირმების ბიზნეს-სტრატეგიების შექმნასა და დაგეგმარებას, საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნებში ყველა სახის სატრანსპორტო გადაზიდვების ეფექტურ მართვას, ორგანიზაციული სტრუქტურების განვითარებას, ლოგისტიკის განვითარებისა და ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის გაზრდისთვის შესაბამისი ღონისძიებების/პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**სატრანსპორტო ლოგისტიკა**
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	**ლოგისტიკის მაგისტრი**
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	**II საფეხური (მაგისტრატურა)**
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	**120 ECTS**
პროგრამის სტრუქტურა	• აკადემიური წელი 2–სემესტრიანია და მოიცავს 60 ECTS კრედიტს (სემესტრში - 30 კრედიტი); • სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით დასაშვებია სტუდენტის წლიური დატვირთვა იყოს 60 კრედიტზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა (ბნუ-ში 1 კრედიტი = 26 სთ); • პროგრამის ხანგრძლივობა - 4 სემესტრი; • წინამდებარე პროგრამით გათვალისწინებული მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭება ხდება პროგრამის მოთხოვნათა შესრულებით არანაკლებ 120 კრედიტის დაგროვების შედეგად.
პროგრამის ხელმძღვანელები	**ქეთევან გოლეთიანი** პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ტექნიკის დოქტორი **თენგიზ აფხაზავა** პროფესორი, ტექნიკის დოქტორი
სწავლების ენა	**ქართული**

ქეთევან გოლეთიანი

პროგრამის ხელმძღვანელი

ბნუ-ს აფილირებული პროფესორი, ტექნიკის დოქტორი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი. ამასთანავე, 2010 წლიდან, ბნუ-ს ბიზნესისა და ლოგისტიკის ფაკულტეტის დეკანი.

ქალბატონ ქეთევანს აქვს მრავალწლიანი პროფესიული გამოცდილება, რაც მოიცავს ლოგისტიკის სფეროში საქმიანობას, არის მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა და პუბლიკაციის ავტორი. ის იკავებდა მნიშვნელოვან პოზიციებს როგორც მუნიციპალურ, ისე სატრანსპორტო და ლოგისტიკის სექტორში, სადაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამ სფეროების განვითარებაში.

მისი მრავალმხრივი ცოდნა და გამოცდილება მას საშუალებას აძლევს ეფექტურად მართოს საგანმანათლებლო პროგრამები და ხელი შეუწყოს ბიზნესისა და ლოგისტიკის დარგში კვალიფიციური კადრების მომზადებას.

თენგიზ აფხაზავა

პროგრამის ხელმძღვანელი

ბნუ-ს აფილირებული პროფესორი, ტექნიკის დოქტორი. მას აქვს მრავალწლიანი აკადემიური გამოცდილება. იგი იკავებდა მნიშვნელოვან პოზიციებს უნივერსიტეტებში.

ბატონი თენგიზი არის მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა და წიგნის ავტორი. მისი კვლევითი საქმიანობა კონცენტრირებულია სატრანსპორტო-ლოგისტიკური სისტემების განვითარებაზე, რომელიც გამოქვეყნებულია წამყვან სამეცნიერო ჟურნალებში. არის გაეროს განვითარების პროგრამის ტრენინგ კურსების ავტორი ლოგისტიკაში და მონაწილეობდა არაერთ საერთაშორისო პროექტში.

პროგრამის სტრუქტურა

#	I სემესტრი	II სემესტრი
1	მარკეტინგის მენეჯმენტი/ Marketing Management	ინგლისური ენა ლოგისტებისათვის
2	კორპორაციათა ფინანსები	ლოგისტიკის სატრანსპორტო უზრუნველყოფა
3	ბიზნესის ანალიზის სტატისტიკური მეთოდები	ლოგისტიკური სისტემის მოდელირება და ოპტიმიზაცია/ Modelling and Optimization of Logistics Systems
4	საერთაშორისო ლოგისტიკა	საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ლოგისტიკაში/ Information and communication technologies in logistics
5	ადამიანური რესურსების მართვა და ლიდერობა	ბიზნესის კვლევის მეთოდები/ Business Research Methods
6	აკადემიური წერა	არჩევითი სასწავლო კურსი

#	III სემესტრი	IV სემესტრი
1	სტრატეგიული მენეჯმენტი	სამაგისტრო ნაშრომი (სავალდებულო)
2	პროექტების მენეჯმენტი/ Project Management	
3	სატრანსპორტო პოლიტიკა და ტრანსპორტის რეგულაციები/ Transport policy and transport regulations	
4	პრაქტიკა	
5	არჩევითი სასწავლო კურსი	

#	არჩევითი სასწავლო კურსები
1	საერთაშორისო ბიზნესი
2	ხარისხის მართვის სისტემები
3	ექსელის სიღრმისეული კურსი (Advanced Excel)
4	მეწარმეობა ბიზნესსა და მენეჯმენტში

დაშვების წინაპირობები

- საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად – არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- დამატებითი მოთხოვნა - ინგლისური ენის ფლობა B2 დონეზე;
- შიდა გამოცდები ტარდება სპეციალობაში (საგამოცდო საკითხების მიმართულებები: მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფინანსები, ლოგისტიკა) და ინგლისურ ენაში (ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის მიზნით შიდა გამოცდების საკითხები წინასწარ განთავსდება ბნუ-ს ვებგვერდზე (www.bnu.edu.ge);
- ინგლისურ ენაში გამოცდის ჩაბარება არ მოეთხოვება იმ მაგისტრანტობის კანდიდატს, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელ დოკუმენტს (მაგ.: უცხოეთში/საქართველოში ინგლისურ ენაზე მიღებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (ატესტატი/დიპლომი), უცხოეთის/საქართველოს უსდ-ს მიერ გაცემული შესაბამისი ინფორმაციის შემცველი დიპლომის დანართი/ცნობა/სხვ., შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციის/წარმომადგენლობის/სხვ. მიერ გაცემული სერტიფიკატები/მოწმობები/სხვ., საერთაშორისო სერტიფიკატები (მაგ. ტოეფელი (PBT), ტოეფელი (IBT), ბრიტანეთის საბჭოს და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (IELTS), ბრიტანეთის საბჭოს და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (Cambridge Exam), კემბრიჯის უნივერსიტეტის გამოცდები (Cambridge ESOL Examination) და/ან სხვ.);
- წინამდებარე პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება სამაგისტრო გამოცდის (რანჟირების დოკუმენტის) საფუძველზე. საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ჩარიცხვა ხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში დადგენილი წესის შესაბამისად;
- პროგრამაზე სწავლის მსურველმა უნდა დაადასტუროს ქართული ენის არანაკლებ B1 დონეზე ფლობა აღნიშნულის დამადასტურებელი რელევანტური დოკუმენტის წარდგენით/ბნუ-ს შიდა გამოცდის გავლით;
- საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გაგრძელება შესაძლებელია მობილობით უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების მაგისტრანტებისთვის (მაგისტრანტების მიერ უკვე მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობა წინამდებარე პროგრამასთან დადგინდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ბნუ-ში არსებული, განათლების (კრედიტების) აღიარებასთან დაკავშირებული რეგულაციებით).

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მომზადდეს ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიციური კადრები სატრანსპორტო ლოგისტიკის სფეროში, რომლებიც შეძლებენ:

- სატრანსპორტო გადაზიდვების ბაზრის კვლევას;
- რთული და არასრული/წინააღმდეგობრივი ინფორმაციის ანალიზს დამოუკიდებელი კვლევის საფუძველზე კომპანიის ლოგისტიკური სტრატეგიის ჩამოყალიბებას;
- ლოგისტიკური პროცესების და ბიზნეს-პროცესების მართვას, მათ შორის ორგანიზაციის ადამიანური რესურსის მიმართულებით;
- სატრანსპორტო ლოგისტიკის სფეროში ეფექტიანი სტრატეგიის შემუშავებას;
- სატრანსპორტო პროცესების ოპტიმიზაციას და მართვას;
- მართებული გადაწყვეტილების მიღებას, განხორციელებას და სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისთვის წარდგენას;
- თვითგანვითარებას და პროფესიული კომპეტენციების დამოუკიდებლად სრულყოფას.

სწავლის შედეგები

კურსდამთავრებული:

განიხილავს სტრატეგიული ანალიზის, ფინანსური ნაკადების, ლოგისტიკური რისკების, ლოგისტიკური საინფორმაციო სისტემების მნიშვნელობასა და მათი გამოყენების არეალს;

აანალიზებს საკვანძო ბიზნეს-პროცესების არსებულ მდგომარეობას და მიწოდებათა ჯაჭვის ქსელურ სტრუქტურას. ლოგისტიკური საქმიანობის და მიწოდებათა ჯაჭვის მართვასა და კონტროლთან დაკავშირებულ საკითხებს;

ახორციელებს მიწოდებათა ჯაჭვის სტრატეგიულ, ტაქტიკურ და ოპერატიულ დაგეგმვას;

ბიზნესის მონაცემებთან მუშაობის ძირითადი პრინციპების გამოყენებით **განსაზღვრავს** საჭირო ადამიანურ რესურსს ორგანიზაციის სპეციფიკის გათვალისწინებით, **შეიმუშავებს და სრულყოფს** საკვანძო ბიზნეს-პროცესების კონტროლისა და მონიტორინგის სისტემას;

შეიმუშავებს და იყენებს მიწოდებათა ჯაჭვის მდგრადობის უზრუნველ-ყოფის, ეფექტიანობის ზრდის და რისკების უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების გეგმებს;

წყვეტს ორგანიზაციათაშორისი კოორდინაციის პრობლემებს მიწოდებათა ჯაჭვის კონტრაგენტებთან;

დამოუკიდებელი კვლევის საფუძველზე **აყალიბებს** კომპანიის ლოგისტიკურ სტრატეგიას;

იყენებს წერითი და ზეპირი კომუნიკაციის, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის, სამუშაოს შესრულებისას სამართლებრივი და ეთიკური ნორმების დაცვის უნარებს;

უახლესი ინფორმაციის და დარგში არსებული ტენდენციების შესწავლით, დამოუკიდებლად **ახდენს** მიღებული კომპეტენციების და პროფესიული უნარების სრულყოფას.

დასაქმების სფერო

წინამდებარე პროგრამის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს საჯარო და კერძო სექტორში, რომლებიც აწარმოებენ საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვების დაგეგმვასა და ორგანიზებას, მათ შორის: სატრანსპორტო-საექსპედიტორო ფირმები და ორგანიზაციები, სატრანსპორტო კომპანიები (ნავსადგური, აეროპორტი, რკინიგზა) ტერმინალები, ადგილობრივი და საერთაშორისო მასშტაბის სავაჭრო-შემსყიდველი და საშუამავლო ფირმები, საერთაშორისო სავაჭრო ოპერაციების მმართველი კომპანიები, ფორვარდული სააგენტოები, სატრანსპორტო ადმინისტრაციები. ბნუ-სთან თანამშრომლობენ სატრანსპორტო-საექსპედიტორო კომპანიები, რომლებიც არიან ბნუ-ს კურს-დამთავრებულთა ძირითადი დამსაქმებლები.

სწავლა-სწავლების მეთოდები

სწავლების პროცესში, პროგრამის კომპონენტის სპეციფიკის გათვალისწინებით, გამოიყენება მაგისტრანტებისთვის ცოდნის გადაცემის ისეთი საშუალებები, როგორიცაა: ინტერაქციული ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, ელექტრონული რესურსით სწავლება და სხვ., სწავლების მეთოდები მოიცავს სხვადასხვა აქტივობებს (მაგ. დისკუსია, დემონსტრირება, პრობლემის ანალიზი, სიტუაციური ანალიზი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, სხვ.).

სწავლების პროცესში შესაძლებელია ამა თუ იმ მეთოდისთვის პრიორიტეტის მინიჭება და მეთოდების კომბინირება, რაც მიმართულია სასწავლო და კვლევით პროცესში მაგისტრანტთა აქტიურ ჩართულობაზე, კვლევითი და სხვა უნარების (სიტუაციის კრიტიკული შეფასების, პრობლემების გადაჭრის მიზნით ახალი, ორიგინალური გზების ძიების და გადაწყვეტილების მიღების, დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით შესასრულებელი სამუშაოს სტრატეგიულად და რაციონალურად დაგეგმვის, კვლევის მეთოდების შერჩევისა და კვლევის ჩატარების, რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზისა და სინთეზის, შედეგების შეფასების და ინტერპრეტაციის, პროფესიონალურ დონეზე დისკუსიის წარმართვის და სხვ.) ჩამოყალიბებაზე და უკვე არსებულის განვითარებაზე.

გამოყენებული მეთოდები უზრუნველყოფენ პროგრამის კომპონენტით დაგეგმილი დარგობრივი და/ან ზოგადი კომპეტენციების მიღწევას, ხოლო პროგრამის ყველა კომპონენტში გამოყენებული მეთოდების ერთობლიობა – პროგრამით დაგეგმილი კურსდამთავრებულის დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციის ჩამოყალიბებას.

სასწავლო პროცესის ორგანიზება

მაგისტრანტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100-ქულიანი (max 100 ქულა) სისტემით: 1) პროგრამის სასწავლო კომპონენტი (სასწავლო კურსები, პრაქტიკა) - შეფასება მოიცავს შუალედურ შეფასებას (max 60 ქულა) და დასკვნით შეფასებას (max 40 ქულა), ორივე შემთხვევაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (მითითებულია პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში). დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ შუალედური ან დასკვნითი შეფასების გამოყენებით. პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასება (ქულა) წარმოადგენს შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულების ჯამს; 2) პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) - შეფასება ხდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი მითითებულია შესაბამის სილაბუსში). წილადის სახით მიღებული შეფასების ქულა მთელ რიცხვამდე მრგვალდება დამრგვალების წესის შესაბამისად. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ბნუ-ში სტუდენტთა შეფასების 100-ქულიანი სისტემა უშვებს 5 დადებით და 2 უარყოფით შეფასებას.

პროგრამის კომპონენტები		max 100 ქულა		შეფასების ფორმები
1	სასწავლო კომპონენტი: სასწავლო კურსები პრაქტიკა	100	60	შუალედური შეფასება
			40	დასკვნითი შეფასება
2	სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი: სამაგისტრო ნაშრომი	100	-	შუალედური შეფასება
			100	დასკვნითი შეფასება

შეფასებები		max 100 ქულა	
დადებითი შეფასებები			
1	ფრიადი	A	91-100
2	ძალიან კარგი	B	81-90
3	კარგი	C	71-80
4	დამაკმაყოფილებელი	D	61-70
5	საკმარისი	E	51-60
უარყოფითი შეფასებები			
1	ვერ ჩააბარა	FX	41-50
2	ჩაიჭრა	F	40-0

Fx შეფასება ნიშნავს, რომ მაგისტრანტს მეტი მუშაობა სჭირდება და: 1) პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი - მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში; 2) პროგრამის სასწავლო კომპონენტი - მაგისტრანტს ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით იმავე სემესტრში დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება, დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულები. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში

სტუდენტს უფორმდება შეფასება F=0 ქულა. შეფასება F ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და 1) პროგრამის სამეცნიერო კვლევითი კომპონენტი - მაგისტრანტი კარგავს იგივე ნაშრომის წარდგენის უფლებას და მას ახალი ნაშრომი აქვს შესასრულებელი; 2) პროგრამის სასწავლო კომპონენტი - მაგისტრანტს სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი / პრაქტიკა ახლიდან გასავლელი. პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით კომპონენტებში კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ მაგისტრანტის მიერ დაგეგმილი (სილაბუსში მითითებული) სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება კანონმდებლობით დადგენილი ერთ-ერთი დადებითი შეფასებით (min 51 ქულა).

სატრანსპორტო ლოგისტიკის საბაკალავრო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა

სატრანსპორტო ლოგისტიკის სამაგისტრო პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების და შეფასების განხორციელების პროცესში.

შპს „ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარმოადგენს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტის მართვის ერთ-ერთ ორგანოს (სუბიექტს), რომელიც იქმნება ბნუ-ში ხარისხის უზრუნველყოფის საუნივერსიტეტო პოლიტიკის, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და პროცედურების, სწავლებისა და კვლევის შეფასების წესის შემუშავების, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების, სტუდენტთა განათლების და სასწავლო პროცესის ხარისხის სისტემატური შეფასების და სრულყოფის მიზნით და უზრუნველყოფს ბნუ-ში განათლების ხარისხის დანერგვას, მოქმედებას და სრულყოფის ორგანიზებას, საქართველოში მოქმედ და საერთაშორისო სტანდარტებთან ბნუ-ს საგანმანათლებლო საქმიანობის და განათლების ხარისხის შესაბამისობას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მოქმედებს საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, განათლების სფეროში საქართველოში მოქმედი და საერთაშორისო სტანდარტების, ხარისხის მართვის სისტემის ISO საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად.

პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსები/პირობები

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისის ადამიანური და მატერიალური რესურსით.

მატერიალურ-ტექნიკური რესურსი	წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება „ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტის“ (შემდგომში - ბნუ) ბაზაზე შესაბამისი მატერიალურ–ტექნიკური რესურსების გამოყენებით. ბნუ-ს ბაზა მოიცავს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამის ინფრასტრუქტურას და მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, მათ შორის ბიბლიოთეკის რესურსს (ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, უზრუნველყოფილი საბიბლიოთეკო რესურსებით და საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებით სარგებლობით), კომპიუტერულ კლასებს და სხვ. პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პრაქტიკას მაგისტრანტები გადიან ბნუ-ს პარტნიორ კომპანიებში.
ადამიანური რესურსი	პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ ბნუ-ს აკადემიური (მათ შორის აფილირებული) პერსონალი და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტები, რომელთაც აქვთ წინამდებარე პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენციები, დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი, პროფესიული საქმიანობის გამოცდილება, სპეციალური მომზადება და/ან სხვ.

სწავლის საფასურის გადახდის წესი

უნივერსიტეტი სტუდენტებს საშუალებას აძლევს სწავლის საფასურის დაფარვა განხორციელდეს ექვს ეტაპად წლის განმავლობაში, რომლის გრაფიკიც სტუდენტებს სწავლის დასაწყისშივე მიეწოდებათ. გადახდის გრაფიკის ვადების დაცვა აუცილებელია, სხვა შემთხვევაში სტუდენტი არ დაიშვება სწავლის შემდგომ ეტაპზე.





ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტი

ბათუმი, თამარ მეფის გამზირი 38

+995 514 40 88 40

info@bnu.edu.ge

www.bnu.edu.ge

ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტი • Batumi Navigation University